

საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის  
სხდომის

ო ქ მ ო # 14

ქ. საჩხერე

2020 წლის 17 ნოემბერი

სხდომის ესწრებოდნენ: ლ. დევანოიძე ი. მინძიშაძე, ნ. ბუღაძე, დ. მაჭარაშვილი,  
მ. დემეტრაშვილი, შ. ტყემალაძე, თ. კალმახელიძე.

არ ესწრებოდა: მ. ნოზაძე (იმყოფება საავადმყოფო ფურცელზე).

სხდომის მუშაობაში მონაწილეობას ღებულობდნენ საჩხერის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციის თავმჯდომარები და მერიის საფინანსო -  
საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ინგა შუკავიძე.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

საჩხერის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა


/ მომხს: საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ლ. დევანოიძე/

მომხსენებელმა კომისიას მოახსენა, რომ საჩხერის მუნიციპალიტეტის 2021 წლის  
ბიუჯეტი წარმოდგენილი პროექტით შეადგენს 14 980 600 ლარს. საიდანაც ხარჯების  
დაფინანსებას უნდა მოხმარდეს 11 330 800 ლარი, ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდას  
3 569 400 ლარი. ხარჯების დაფინანსებიდან ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია  
და ექსპლოატაციას უნდა მოხმარდეს 3 979 900 ლარი, დასუფთავება და გარემოს დაცვას  
854 700 ლარი, განათლების სფეროს დაფინანსებას 2 660 600 ლარი, კულტურა, რელიგია,  
ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების დაფინანსებას 2 226 400 ლარი და  
მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის დაფინანსებას  
1 244 700 ლარი.

კომისიაზე განხილულ საკითხზე აქტიურად მონაწილეობდენ და თავიანთი მოსაზრებები გამოთქვეს კომისიის ყველა წევრმა, კომისიებისა და ფრაქციების თავმჯდომარეებმა. აღნიშნულმა პირებმა გააკეთეს განმარტება, რომ საჩხერის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტი განმეორებით განხილული იქნას საფინანსო- საბიუჯეტო კომისიისა და ეკონომიკურ და ინფრასტრუქტურულ საკითხთა კომისიის გაფართოებულ სხდომაზე.

დაადგინეს:

- საჩხერის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის წარმოდგენილი პროექტი განხილული იქნას საკურებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიისა და ეკონომიკურ და ინფრასტრუქტურულ საკითხთა კომისიის გაფართოებულ სხდომაზე.

საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე:  /ლ. დეკანოიძე/